

# ზინაური საქმეები

№ 14.

3306, აპრილი 5, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2 1/2 მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კანკიკათ.

აღმისი: ქუთაისი „ზინაური საქმეებს“

რედაქცია.

უფასო-ვიკიული გაზეთი.

**ზინაური:** სააღმკრთო სტატიები—კინკილელოთა: იესო ქრისტე—მე ღვთისა—ნაკრუანელისა; ვაი ჩვენი ბოლი—მ-სა; იფოლიდა გუტა; დლობერისა ნათარგმნი ფრანგულიდან—ა. მაქსიმისა; იმერეთის სამ-ღვლელოების რწმუნებულთა კრება; პარველი ფურცელი ბიბლიისა—ონოფრე მწირისა; რას ჩავდივართ?—ივე-რიელისა; წერილი რედაქციის მ მართ—მღვდ. სპირ ჯგულისა; ქუთაისში აკაკის დღესასწაულზე დასწრე კა-ქუთა გლეხის ნაშრომი—ქვაკიხელ-საბაეოელისა.

## უფასო-ვიკიული გაზეთი

### „ზინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და სავაჭრო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კპ გაზეთი რედაქციის დასაბეჭდად უფასოდ გარ განსაზღვრებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერ-ლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კპ.

## სააღმკრთო სტატიები.

ჩვენმა გაზეთებმა აღდგომის დღესასწაულს სტატიები და ლექსები ბლომად უძღვნეს. ასეთი სხეციელი პირველი შეხედვით გაფიქრებინებს, თითქოს ჩვენ მთ-აზრე საზოგადოებაში სარწმუნოებრივი ურძობა ვადვიძებულებოთ. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შესედეით, ხოლო თუ დაუკვირდი, ან სულ ვერაფერს გაიკებ და ან გაიკებ იმ-ს, რომ ჩვენი მწერლები ქარაფანს დასცილებიან და უზღ დაბნეუ-ბით. ასეთი სხვათა მორის იყურის სააღ-დგომო წერილი ბ. ვ. თამროშვილისა „გამომხილი.“ ეს სტატია მართლაც

რომ გამოძახილია: ავტორს სადაც რა-ღაც გუგონია და ისიც ცარიელი ქვე-რივით გამოძახის, მაგრამ რას გამოი-ძახის, არც თითონ იცის. უთუოდ ანუა, თორემ თუ მწერალს თავის აზრი გარ-კვეული აქვს, ნუ თუ იგი მას ისე ვერ გამოსთქვამს, რომ სხვამაც გაიკოს? რის მახინია ან მწერალი და ან მისი ნაწე-რი, თუ რგი გაუგებარია. საცოდავმა მკი-თხველმა ორჯერ-სამჯერ უნდა ჩაუაროს ორ მწკრიან სტატიას, ხან ასე უნდა იფი-ქროს, ხან ისე, და ბოლოს მაინც კი-დეგ ეტეში დარჩეს და თავის თავსაც და-ქმდებოს, რომ რაღაც გაზეთის სტატია ვერ გაიკოს. საბრალია ამ შემთხვევაში უფრო ის ადამიანი, რომელიც ბრძედ არ ემბნება მწერალს და უნდა საზოგადო და კერძოთ თავის პირად შესედელების მხრით გასინჯოს იგი. მან რის ტანჯვით და ვაი ვაგლანით უნდა შეწყობოს მთავარი აზ-რი, რომელიც, შეიძლება, სრულყოფით არ ქვავს ავტორის მთავარ აზრს და შეძლე-ებრძოლოს ოცნებას, ქარის წისკილს, ან სწეროს კრიტიკა მწერლის მიმართ. სან-საბრალია უფრო მისი სხეციელი და ბოლოს მაინც კი-დეგ ეტეში დარჩეს და თავის თავსაც და-ქმდებოს, რომ რაღაც გაზეთის სტატია ვერ გაიკოს. საბრალია ამ შემთხვევაში უფრო ის ადამიანი, რომელიც ბრძედ არ ემბნება მწერალს და უნდა საზოგადო და კერძოთ თავის პირად შესედელების მხრით გასინჯოს იგი. მან რის ტანჯვით და ვაი ვაგლანით უნდა შეწყობოს მთავარი აზ-რი, რომელიც, შეიძლება, სრულყოფით არ ქვავს ავტორის მთავარ აზრს და შეძლე-ებრძოლოს ოცნებას, ქარის წისკილს, ან სწეროს კრიტიკა მწერლის მიმართ.

ქუთაისში, 1909 წ. აპრილი 5



ზე. ამ მდგომარეობაშია დღეს თქვენი მო-  
წინავე კინკლეუელი, რომელსაც ძალი-  
ან გულით უნდა გამოიცნოს, რა ჯურის  
ალეგორიკია ბ. თამროშვილი, მაგრამ  
ვერა მოუხერხებია რა. ფიქრობს ვითომ  
მთავარი აზრი ბ. თამროშვილის „გამო-  
ძახილისა“ იქნა ის, რომ სიუჟარული  
სუსტია და, როგორც ასეთი, იგი არც  
მოსაწონია და არც სასურველი, ხოლო  
სიძულვილი მძლავრია და, როგორც  
ასეთი, ეველანათვის მოსაწონი და სა-  
სურველი. რომ ტყუილა წულის ნაქვა არ  
გამოგვივიდეს, საჭიროთ მიგვაჩნია, წინ  
და წინვე შევუკითხოთ ბ. თამროშვილს,  
ეს არის აზრი მისი „გამოძახილისა“,  
თუ სხვა რამეს უნდა ველოდეთ? თუ ეს  
არ არის, ვთხოვთ, გვიბრძანოს, რას გვი-  
ქადაგებს თავის სტატით, კაცობრიობის  
რომელი უოფნა არ უოფნის საკითხს ესე-  
ბა? დავარწმუნებთ ბ. თამროშვილს, რომ  
ჩვენი სურვილი უბრალო ცნობისმოკლე-  
რობა არ არის; უოველივე ახალი აზ-  
რი და მოგონება გვახარებს, თუ იგი  
ასეთ რამე უმსგავსს არ წარმოადგენს, რო-  
გორც შემოაღნიშნული ჩვენი ბუბიაო-  
ბით „გამოძახილიდან“ ნაშობი აზრია.

მეორე ასეთივე წერილი „დროება-  
შია“ (იხ. № 78). „დროება“ თითონ გა-  
მოურკვეველი გაზეთია, თუ არ ვსცდებით;  
კაცი ვერ იტყვის საით იქცირება და რა  
უნდა ამ გაზეთს, რას ესწრაფება ან რას  
გაუბრის და რა უნდა განახორციელოს  
ქვეყანაზე. ვიცით, ს.-დემოკრატებს არ  
სწევლობს, მაგრამ ეს არ გამოა. საჭიროა

ვიცოდეთ რაში მდგომარეობის მისი და-  
დებითი (положительное) სწავლა-  
მომღვრება. „საქონელი ჰატრონს ჰეტას“,  
ამბობს ქართული ანდაზა და სწორეთ ამ  
ანდაზას ამართლებს ბ. „საიდგომო ფიქ-  
რების“ ავტორი. იგი ვერ გამორკვეულა  
და არ იცის რას მიენდოს: უარეოს ალ-  
დგობა, თუ მიიღოს, როგორც ფაქტი,  
რომელიც დღესაც იბღავს ქვეყნიერებას  
თავის არა ჩვეულებრივი ხასიათით. თუით  
სარწმუნოების შესახებ ავტორი ასეთ ერთ-  
მანეთის წინააღმდეგ აზრებით გვიძახს-  
ხინძლდება საიდგომოთ: „რელიგიის ძეგ-  
ნა ახასიათებს ახალ აზროვნების მიძარ-  
თულებას განათლებულ ქვეყნების ძალა-  
საზოგადოებაში და რელიგიის ძაგვირო-  
ბას სწევს იმავე ქვეყნების მშრომელ ხალხ-  
ში სასოებით სავსე და მოქმედებით მდი-  
დარი რწმენა აწინდელ სოციალურ ცხოვ-  
რების ძირითად შეცვლის შესახებ“ აქედ-  
გან სჩანს, რომ ძალადი საზოგადოება  
სარწმუნოებას ეძებს, ხოლო მშრომელ  
ხალხს ეს სარწმუნოება უკვე უნახავს. (sic!)  
აქედგანვე სჩანს ავტორის უსუსური მე-  
ხედულებაც სარწმუნოებაზე, როგორც სო-  
ციალურ ცხოვრების ფორმების ცვლილე-  
ბაზე, რასაც ქვევით სახუმროთ აღარ ამ-  
ტკიცებს. მცირე მანძილს შემდეგ ავტო-  
რი სწერს: „ქრისტიანობის შინაგანი ძა-  
ლა... სიუჟარული და სათნოებაა. ახალი  
სარწმუნოება მხოლოდ მაშინ შეიქნება აუ-  
ცილებელ ისტორიულ საჭიროებად, რო-  
ცა სათნოებისა და სიუჟარული სწრაფე-  
ვა თავის დროს მოსწამს იმით, რომ ეს

ზრინციები ადამიანთა ურთიერთობაში უკვე ნამდვილად განსორცოვდებიან. ქრისტიანების ისტორიულ ეპოქას ჯერ კიდევ არ აუსრულებია თავისი დანიშნულება. ჯერ ადამიანთა ცხოვრება კიდევ ძეცად მორს არის ქრისტიანულ იდეალების განხორციელებისათვის. ჯერ კიდევ არ შეცვლილა კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრება იმ ზომამდე, რომ მას ქრისტიანობის სარწმუნოებისათვის განსწროს წინ და ახალ რელიგიურ მოძღვრებისათვის გაემხადებოს ნიდაგი“. ძამ გვიბრძანეთ, ბატონო, რაღა დაახეტილებს განათლებულ ქვეყნების ძაღალ საზოგადოების ხალხს სარწმუნოების საქებრად, როცა ჯერ ისიც არ აუსრულებია, რაც ხელში უჭირავს? ნეტავ თუ გათვალისწინებული აქვს ავტორს ის დრო, როცა კაცობრიობა წაუსწრობს ქრისტიანობას დახატულ იდეალებს და უკეთესს შექმნის? „ვისაცა უნდეს ზირველ-ყოფა, იუაფს ყოველთა მსახურს“ ამბობს ქრისტი, როდის შეიკვებს ამ იდეალს კაცობრიობა? „იუფენით სრულ, ვითარცა ძამა თქვენი სრულ არსო“; როდის მიაღწევს კაცობრიობა ამ სისრულეს? ძალიან დაუკვირანდება ძას ახალი სარწმუნოების შექმნა! თუ ქრისტიანობას ჯერ თავის დრო არ მოუჭამია, სიღვან მოხდა, რომ მშრომელ ხალხს სარწმუნოების ძაკიერობას უწევს რაღაც „სახოებით საფსე და მოქმედებით ძდიდარი რწმენა აწინდელ სოციალურ ცხოვრების ძირითად შეცვლის შესახებ!“ და განა ეს არის ახალი სარწმუნოება? უსთქვათ ცხოვრების ფორმები ძირითად შეიცვალა, ძერე ეს შეცვლილი ცხოვრების წესები იქნება სარწმუნოება? როდის იყო, რომ სახელმწიფო, სოციალურ წესებს სარწმუნოებად აღიარებდნენ? ისტორიამ არ იცის ისეთი ერთი, რომლის სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი-სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი ერთი და იგივე ყოფილიყოს. სარწმუნოების საგანი ყოველთვის ყოფილა: ღმერთი, სული, სიბოლო ცხოვრება, სახელმწიფოებრივი კუჭი, თავის დაცვა და სხვისი დარბედა-განადგურება. სარწმუნოება ცას მისხერებია, საზოგადოებრივი წესწობილება ძიწას. სარწმუნოებას შეუძლია ძირითად შესწავლოს საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც მოახდინა ძაკალითად ქრისტიანობამ, ხოლო საზოგადოებრივი წესწობილეობის შეცვლის არ მოხდევს სარწმუნოების შეცვლა. ოსძალე თმი კონსტიტუცია უამოცხადდა, ძაკრძმ ისლამი თავის ძალამი დარჩა, არ გვესძმის რასთვის უნდა შეიცვალოს ქრისტიანობა, როცა ცხოვრების ზირთები შეიცვლება!..

ერთ საკვირველ ახალ ამბავს კიდევ გვანარებს ბ. ავტორი ამ სადღგომით: „ჩვენი დროის მშრომელ ხალხისთვის ქრისტიანული იდეალები უკვე საყოველღეო ბრძოლის იდეალებად არის ქვეულნიო“. ნეტა რა იდეალებია ის ქრისტიანული იდეალები, რომლებიც ისეთ ბრძოლას თხოულობენ, როგორი ბრძოლაც სწარმოებს დღეს მშრომელ ხალხში ძადლითა და შეწვენითა ძარქსისა და მისთანათა!...

ენკილეთელი.



იესო ქრისტე—ძე ღვთისა.

(დასასრული\*).

მეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ კიდევ ერთი მოწმობა იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა—

\* იხ. „ზინ. ს.გ.“ № 13.)

მოწმობა მსოფლიო ისტორიისა. მსოფლიო ისტორიამ, რომელიც არის ამასთანავე მსოფლიო მსჯავრიც, დიდი ხანია უკვე წარმოსთქვა თავისი განჩინება ქრისტეს შესახებ. მან დაგვანახვა, რომ ნაყოფი ქრისტეს საქმისა, რომლითაც შეიძლება ცნობა ქრისტესი, იმოდენად დიდია, რომ მას ვერაინ და ვერაფერი შეეხება. ქრისტემ, ქრისტიანული სარწმუნოების და ეკლესიის დამაარსებელმა, ქვეყნის დამპყრობმა თავისი მოძღვრების სიტყვით, მიანიჭა კაცობრიობას დაუღვეველი სიკეთე. ქრისტიანობის შეუჩივრებელი მტრებიც კი ვერ უარყოფენ, რომ ქრისტიანობის გავლენა ქვეყანაზე ყველა გავლენაზე უძლიერესია. ერთი მეცნიერის სიტყვით, ყველა დიდებული მეფეების, პოეტების, გენიოსების, ფილოსოფოსების გავლენა სულ არაფერია იესო ქრისტეს გავლენასთან შედარებით. (ი ამიტომ თითონ რენანიც გამოტეხილათ ამბობს, „რომ ქრისტემ დაარსა სრული სარწმუნოება, რომ მან პირველმა გამოგვიცხადა სამეფო სულთა, რომ მან შექმნა ცა წმიდა სულთა, საცა პოულობენ იმას, რასაც ამაოდ ეძიებენ ქვეყანაზე, რომ მან კაცობრიობას წინ წაადგმევინა ერთი უდიდესი ნაბიჯი ღვთაებრივი იდეალისკენ, რომ იესოს არაინ აღემატება, რომ გერაფვარი ცვლილება ვერ მოსპობს ჩვენს კავშირს იმ დიდს ოჯახთან, რომლის სათავე შიქ ბრწყინავს სახელი იესოსი.“)

გარდა ისტორიის მოწმობისა, არის კიდევ სხვა საშუალება ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრიობაზე დასარწმუნებლად. ეს საშუალება გვიჩვენა თვით მაცხოვარმა შემდეგი სიტყვებით: „უკეთეს ვინმე ნებას მისსა (ზეციერი მამისა) ჰყოფდეს, სცნას მან მოძღვრება ესე, ვითარ რა არას, ან მე თავით თვისით ვიტყვი“ (იოანე 7,17). როგორც ამ სიტყვებიდან სჩანს, ქრისტეს ღვთაებრიობაზე დასარწმუნებლად საჭირო ყოფილა საკუთარი გამოცდილებით შემოწმება ქრისტეს მოძღვრების ღირსებისა. ეს საშუალება თუ წესიერად ხმარებულ იქმნა, გაჰთანტავს ყოველსავე ექვს და ურწმუნოებას. მართალია, ამ საშუალებით ნაჩვენები გზა არ არის სუბუქი და ადვილი, მას დასჭირდება მთლად ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ეს გზა უმჯობესად ნაბღვილია და

მიმყვანებელი კაცისა. იესოსთან—ღვთის ძესთან. ამ გზით ვიდოდნენ მოციქულები, მოწამეები და ყველა ქრისტიანი წმიდანები. ამავე გზით შეუძლიან ისარგებლოს თვითთულმა ჩვენგანმა, მას უნდა მიმართოს ყველამ, ვისაც ეჭვი აქვს ქრისტეს ღვთაებრიობაზე; „ვისაც არ უნდა, ან არ შეუძლიან ეს გამოსცადოს, მან, თუ პატიოსანია, არ უნდა სთქვას არც ერთი სიტყვა არც წინააღმდეგ არც დასარგებლოდ ქრისტიანობისა“, ამბობს ერთი ქრისტიანობის დამცველი სწავლული.

(დასასრულ, მოვიხსენოთ შემდეგი. რენანი სტდილობდა, ქრისტე ჩამოეყვანა ღვთაებრივი დიდების სიმაღლიდან და წარმოედგინა იგი უბრალო კაცად და ისიც დაბალ ზნეობისად, მაგრამ ბოლომდის ვერ გაატანა და ქედი მოიხარა მაცხოვრის არაკაცურ სიდიადის წინაშე. ეს კიდევ არა კმარა. რენანი თუმცა ძალიან მოურიდებლად ეპყრობა საბარებას, მაგრამ მაინც ვერ ამოუშლია იქიდან უმთავრესი—სული, ღვთაებრივი ძალა, სიცხოველე და ხანდახან თითონაც კი ემორჩილება საღვთო ნაწერების გავლენას და ისე დაბარაკობს იესო ქრისტეზე, რომ მის ღვთაების ცნობამდე ერთი ნაბიჯიღაა, მოვიყვანოთ მაგალითები.

რენანის აზრით. უმთავრესი თვისება ქრისტესი იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის დამოკიდებულებას ღმერთთან ხატავს, როგორც ძის დამოკიდებულობას მამასთან. შესაძლებელია, რომ ასეთი მაღალი ცნობა ღვთისა, რომელიც იყო უმთავრესი საფუძველი წიხი არსებისა, არსება იესოს დიადი სულისა, ჰქონდა მას მსახურების პირველი დღეებიდანვე. მაგრამ იბადება საკითხი: სად არის სათავე ასეთი ღრმა თავისებურობისა? საიდან წარმოსდგა ასეთი ამაღლებული წარმოდგენა ღმერთზე, როგორც ყველას მამაზე, წარმოდგენა, რომელიც არა სკოდნია კაცობრიობას ქრისტემდე? რენანი რაოდენჯერმე იმეორებს, რომ იგი არ წარმოდგარა იუდაიზმიდან; რომ ამ მოძღვრებაში არაფერი ნიშანი არ არის ურიათა ეროვნებისა და მოღვმისა, რომ აზრი ღვთის ძეობისა უცხოა ურის გონებისათვის; იმასაც ბრძანებს რენანი, რომ იესო სრულყოფილად არ იქნა

და იმ დროის ბერძნულს ფილოსოფიას. ქრისტეს სწავლას თავის ღვთის ძეობაზე ფესვები ჰქონდა თვით მისსავე არსებაში. ეს უნებლიეთი გამოტეხა რენანისა დიდ მნიშვნელოვანია, რადგანაც აქედან ლოღიკური აუცილებლობით გამოდის დასკვნა იესო მაცხოვრის ღვთაებრივ ღირსების შესახებ. მართლაც-და, თუ იესოს მოძღვრება მამა ღმერთზე და თავის თავზე, როგორც ღვთის ძეზე არის განსაკუთრებული მოძღვრება, რომელიც კაცობრიობამ უწინ არ იცოდა, თუ ამ მოძღვრების საფუძველი და წყარო, სათავე არის თვით ქრისტეს არსება, ცხადია, რომ ეს არსება ყოფილა განსაკუთრებული, არაკაცობრივი; თუ ქრისტე ჰფიქრობს, რომ ის დაკავშირებულია მამა ღმერთთან, სწამა, რომ იგი არის ძე ღვთისა, თუ ეს აზრი უწინდელი კაცობრიობისთვის უცნობი, გარედან მონაბერი არ არის, არამედ აქვს ფესვები თვით ქრისტეს არსებაში, ცხადია, რომ ქრისტეს თვითშეგნება უმაღლესი, არა კაცობრივი, არამედ ღვთაებრივია. რენანი ვერა ჰხედავს ამ დასკვნის გამოყვანას, რადგანაც ეს იქნებოდა თავისი თავის გამტყუნება, დასჯა და გამათრახება; მაგრამ არც დაობს ამის შესახებ ისეთი თავგამოდებით, როგორც მოსალოდნელი იყო, რომ მას თვითონ სჯეროდნენ თავისი სიმართლე. ერთი საუკეთესო კრიტიკოსი რენანის თხზულებისა კარო ამბობს, რომ რენანის წიგნი „ცხოვრება იესოსი“ ტრიალებს შემდეგი აზრის გარშემო: „იესო ქრისტე არ არის ღმერთი, არც ძე ღვთისა, მაგრამ იგი თითქმის ღმერთია.“ რა სწავლულის საკადრისია ამგვარი ნელთბილობა?!

ნაკარვანელი.

**ვაი ჩვენი ბრალი!**

(სურათები ქართველ სამღვდლოების ცხოვრებიდან).

ბევრი სასულიერო პირი იმ აზრისაა, რომ სამღვდლოებაზე არაფერითაა ცუდი არ უნდა ითქვას და დაიწეროს, რათა ხალხის თვალში მისი ღირსება არ დამცირდეს და მას გავლენა არ დაეკარგოს. ეს შემცდარი ჰაზრია. ერის

კაცები მღვდლების ნაკლულევეანებებს ისე ნათლად ხედვენ, იმდენ რამ აღმაშფოთებელის მნახველნი არიან მათ ცხოვრებაში, რომ სხვისი ნათქვამი მათ არ გააკვირვებს. პირიქით თვით ერისკაცები მღვდლებზე ისეთს რასმეს გაიმბობნენ, რომ სირცხვილით დაიწვებით. გავლენა მოძღვრებმა ხომ დიდი ხანია რაც დაჰკარგეს. სამღვდლოების იარები კი არ უნდა დამალონ, არამედ უფრო ცხადად უნდა გამოაჩინონ; თუ უმრავლესობას არა, ნაწილს მაინც შერცხვება, და იქნება გასწორდეს. მეგობარს, თუ მას რამე სუსტი მხარე აქვს, პირში უძრახავენ.

**I.**

საკათედრო ტაძარში წიბოვა. ტრაპეზის წინ კრძალულებით სდგას ქართველი მღვდელმთავარი. იმის მაღლიან სახის გამომეტყველების მხილველი მორიდებით უნდა იდგეს მის წინაშე. გარნა თანამწირველნი მღვდელნი თავისუფლად სდგანან, ერთი მეორეს ელაპარაკებიან, იცინიან. მთავარდიაკონნი მოურიდებლად აქეთ იქით დაიარებიან, ხან ერთს დაუწყებენ მუსაიფს და ხან მეორეს.

იმავე ტაძარში შემდეგ კვირადღეს მწირველია რუსის ეპისკოპოსი. დადგა ცხრა საათი, მოელიან მას. დეკანოზა, კანდელაკი და მთავარ დიაკვნები დიდ მზადებაში არიან. მღვდლები ხმა მაღლა ლაპარაკობენ, ხუმრობენ, იცინიან. შემოვიდა საკურთხეველში ქართველი მღვდელმთავარი. მღვდლები და დიაკვნები განაგრძობენ ლაპარაკსა და სიცილს. ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი—რუსი; გაისმა ხმა: რექტორია—რექტორი. მღვდლები გაჩუმდნენ და გასწორდნენ. თავის დროზე შემოვიდა მწირველი რუსის ეპისკოპოსი. დიდის ფაცა-ფუციით მიეგებნენ მას. მთელი წირვის განმავლობაში მღვდლები სამაგალითოდ სდგანან; არამც თუ ლაპარაკს, ერთმანეთისკენ მიხედვასაც ვერ ბედავენ.

**II.**

ათი საათია. რუსის ეპისკოპოსის სასახლის წინ დაჩინონიკებული მღვდლები სდგანან და ელოდებიან, თუ როდის მიიღებს მათ მისი

ყოვლად უსამღვდელოესობა. „კაცო, ჯერ თერთმეტის ნახევარი არაა, და მანამდის არაფერის არ ღებულობს.“ შესრულდა თერთმეტის ნახევარი, და კელინიკმა მღვდლები ზალაში მიიწვია. ყველას გული უფანცქალებს: ზალაში მხოლოდ ჩურჩული ისმის. მღვდელთმთავარი მთხოვნელებს იწვევს სათითაოდ მეორე ოთახში. მღვდლები კანკალით შედიან და გამოდიან. მთხოვნელები მიდიან მხოლოდ მეორე სათამდე, შემდეგ კი ვერ ბედავენ.

დილის რვის ნახევარია. ქართველი ეპისკოპოსის სახლის კარებს ქართველი მღვდელი მიადგა. ზარის ხმაზე მოსამსახურე გამოვიდა და უთხრა სტუმარს ერთი საათის შემდეგ მობრძანდითო. „არა, მე ახლავე უნდა ვნახო, ძლიერ მეჩქარება, უნდა წავიდე, სთხოვე მიმიღოს“, უთხრა მღვდელმა. მოსამსახურემ მოახსენა ეპისკოპოსს. ამან სთქვა: „მე ეპისკოპოსი ვარ და ცხრა საათამდე მდევითნესთანაც ვერ მივალ, რომ უდროოდ არ იქნეს ჩემი მისვლა, და ესენი კი მე გათენებისასვე თავს მეცემიანო.“ ცოტა ყოყმანობის შემდეგ უთხრა მოსამსახურეს, შემოიყვანეო. შემოვიდა მღვდელი, თამამად აიღო ეპისკოპოსისაგან ლოცვა კურთხევა და მის თქმაზე დაჰდანითო, თამამად დაჯდა; ფეხი ფეხზედ გადაიდგა და თამამად დაუწყო ლაპარაკი. ჯერ „თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობით“ ელაპარაკებოდა, მერე „თქვენობით“, შემდეგ „შენობით“ და ბოლოს „ბიჭოც“ მიაყოლა.

ნაშუადღევის ოთხი საათია. ქართველი ეპისკოპოსის სახლში მდევითნე შევიდა და უთხრა ეპისკოპოსის მოსამსახურეს: „მოახსენეთ ეპისკოპოსს, რომ ეხლა მიმიღოს, რადგან დღესვე უნდა წავიდე ქალაქიდან და მატარებელს უნდა მივუსწროო“. ეპისკოპოსმა იგი მიიღო.

III.

ლოცვის მოსამენად შეველ იმ ეკლესიაში, სადაც არის მოძღვრად ერთი მოწინავე მღვდელთმთავარი. საწიგნესთან მდევითნე ბუტბუტებს. მღვდელი აქეთ იქით დაიარება და ლაპარაკობს ანუ გაზეთს კითხულობს; ავერტქ-

სებს და ასამაღლებლებს უსულ უგულოთ მბობს.

IV.


დიდ მარხვის პირველი კვირიაკეა. ორშაბათს დილით ეკლესიაში მიველ. ხალხმა თავი მოიყარა. მოვიდა მდევითნე; დარეკა, შემდეგ შევიდა ეკლესიაში, საწიგნესთან მივიდა, გადაშალა ეამნი და დაიწყო კითხვა. აქეთ იქით ვიხედები, სად არის მღვდელი მეთქი. დიაკონმა გამოიყვანა ლოცვა უმღვდლოდ. ამგვარად იყო პარასკეე საღამომდე. საღამოს მღვდელი მოვიდა, საზიარებლად განმზადებულთ აღსარება ათქმევინა, თვითოეულ კაცს ორ-ორ წუთში ათავისუფლებდა, ბავშვებს კი ერთად ათქმევინა აღსარებას. ყველა აზიარა.

V.

კვირა დღეა. წველი ეკლესიაში, მინდოდა წირვა მომესმინა. ვიცადე თერთმეტ საათამდე. არც მღვდელი, არც მდევითნე და არც ხალხი არ სჩანდა. თურმე ნუ იტყვიო, წირვა-ლოცვა აქ იშვიათი მოვლენა ყოფილა, მხოლოდ დიდ დღესასწაულებში მღვდელი და მდევითნე შეიწუხებენ ხოლმე თავს ლოცვითა და კიდევ მაშინ, როცა ვინმე მრევლთაგანი წირვას შეუკვეთავს. გასაოცარია, სამრევლო ეკლესიას სამრევლო გარს არტყია, და ხალხი კი ეკლესიაში სიარულს დაჩვეული არ ყოფილა.

№.

(შემდეგი ჩანება)



ი რ ო დ ი ა დ ა.

გუსტავ ფლობერისა  
თარგმანი ფრანგულიდან.

მარილოვანი ზღვის აღმოსავლეთით, შაქრის თავივით აკონწოლებულ კლდეზე მდებარეა ამაღლებულიყო მაქტრუზის კოშკი. მობიბინე ქალები გარს ერტყა ამ ციხე-სიმაგრეს. ერთი ჯგუფი სახლებისა მოთავსებული იყო მის ძირში. ციხეს ქალაქთან აერთებდა კლდეში გამოჩენილი საცალფეხო გზა. ციხის

კედლები საესე იყო სხვა და სხვა კუნტულ-  
ყურეებითა და სათოფურეებით; კოშკები, თით-  
ქოს ჰაეროვანი გვირგინებიაო, წიაპით ეკიდენ  
ზედ უფსკრულზე. შიგნივ, ციხე წარმოადგენ-  
და სასახლეს, რომელიც მორთული იყო ვავე  
სახურავიანი გაღვრეებით. სასახლეს ირგვ-  
ლივ ლედვის ხის აივანი უვლიდა. რომელზე-  
დაც დამაგრებული იყვენ გრძელი ქოკოები  
ფარდების გადასაქიმავად.

ერთხელ, მზის ამოსვლამდე, ტეტრარქი  
ჰეროდე ანტიპა გამოვიდა აივანზე და იდაყუ-  
დაყრდნობით დააცქერდა არე-მარეს.

მის ჰერდაპირ მდებარე მთებმა უკვე გა-  
მოაჩინეს თავიანთი მწვერვალოები, ხოლო ძი-  
რი კი ისევ შთანთქმული იყო სიბნელეში. აქა-  
იქ ნისლი სცურავდა... მერმე უეცრივ ნისლიც  
გაიბნა და ნათლად გამოჩნდა მარილოვანი  
ზღვა.

მაქერუხს იქით ალიონი დაიძრა და ვარ-  
დის ფრათ შეღება არე-მარე. მზის შუქმა თან  
და თან გაანათა წყლის პირი, სილები, გორა-  
კები და თვით უდაბნო; ხოლო შორს, ცისკი-  
დურთან ალისფრად აპრილდენ იუდიანთ მთე-  
ბი, თავიანთ ხოშორა, ნაცრის ფერი ფერდო-  
ებით: შუაში შავ-ლენტივით გაგრძელებული  
ენგელი, ქვევით, გუმბათივით დამრგვალებუ-  
ლი ებრონი; ესქოლმა გამოაჩინა თვისი ბრე-  
წოულის ბუჩქნარი, სორეკმა—მშვენიერი ვე-  
ნახები, ხოლო გაზერმა—ლამაზათ რათესილი  
ყანები. ანტონის უშველელელი კოშკი ზედ  
თავზე დაჰკიდებოდა იერუსალიმს.

ტეტრარქმა ყველა ამავებს თვალი აარიდა  
და ერიქონის ბზარნალს დააცქერდა. მას თვალ-  
წინ წამოუდგა გალილიის დანარჩენი ქალაქე-  
ბი: კაპერნაუმი, აენდორი, ნახარეთი და თი-  
ბერიადა, სადაც—მისი აზრით—იგი ველარ და-  
ბრუნდებოდა

ანკარა იორდანიე ლაზათიანად მოჩუხჩუ-  
ხებდა უსიცოცხლო უდაბნოზე. მზის შუქით  
განათებული მარილოვანი ზღვა უხარმაზარ  
ბრწყინვალე ქვას დაემსგავსა, ხოლო მის ჩრდი-  
ლოეთით, იემენის მხარეს, ანტიპამ დაინახა ის,  
რაც მიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა ტანში: აქა  
იქ გაბნეული ნაცრის ფერი კარვები მოსჩანდენ

იქ; შუბებით შეიარაღებული ხალხი ჰიანჭვე-  
ლასავით ირეოდა დაკაზმულ ცხენთა შორის.  
ზედ მიწის პირზე, მიმქრალი ცეცხლი ოღნავ  
ბეუტავდა.

ეს იყო ჯარი არაბეთის მეფისა, რომლის  
ქალიშვილს გაჰყროდა ანტიპა, იმ მიზნით,  
რომ ცოლათ შეერთოთ თვისი რძალი (ძმის ცო-  
ლი) იროდიადა.

ანტიპას ძმა იტალიაში სცხოვრებდა და  
ყურადღებასაც არ აქცევდა ტეტრარქს, რო-  
მელიც ასე უკანონოთ ბატონობდა მის სამ-  
ფლობელოს. ანტიპა რომაელებიდან ელოდა  
შველას და, რადგან სირიის გამგე—ვიტელი—  
გვიანობდა, მოუსვენრობა ჰკლდედა ტეტრარ-  
ქის გულს.

— აღრიპა ნამდვილად მტრობას გამიწევს  
იმპერატორის წინაშე!—ჰფიქრობდა იგი.

შესამე ძმა ტეტრარქისა, ბატენის მფლო-  
ბელი ფილიპე, ჩუმად საომარ სამზადისში იყო.  
ებრაელებს აღელვებდა კერპთაყვანისმცემლობა  
ანტიპასი, ხოლო დანარჩენებს მისი უთავბო-  
ლო გამგეობა.

ტეტრარქი ორთა შუა იყო: ან არაბთა  
გული როგორმე უნდა მოეღბო, ან დაკავში-  
რებოდა პართელებს და აი, ვითომდა დღეობა  
მაქვსო, გამართა დღეს ღზინი, რომელზედაც  
მოიწვია თავისი ჯარის გამოჩენილი სარდალ-  
ნი და გალილიის შესანიშნავნი პირნი.

იგი დაჟინებით დააშტერდა ყველა გზებს.  
იგინი ცალიერნი იყვენ. მხოლოდ არწივნი  
დაჰფრიალებდენ იქ. ციხის თხრილის დაყოლე-  
ბაზე ტკბილათ ეძინათ კედელს მიყრდნობილ  
ჯარის კაცთ. სასახლეში სამარისებური სიჩუმესუ-  
ფევდა. უეცრივ, შორეულმა უცნაურმა ხმამ  
შეაკრთო ტეტრარქი! იგი დაიხარა დასაყურე-  
ბლად, მაგრამ უცნაური ხმა უტბათვე შესწყდა.  
მერმე ისევ გაისმა... და შეშინებულმა ჰერო-  
დემ ტაშის კვრით დაიყვირა:

— მანაი... მანაი!...

ძახილზე გამოჩნდა ნახევრად ტიტველი,  
მალალო ტანის გამხმარი მოხუცი. გვერდზე  
ბრინჯაოს ქარქაშიანი გრძელი დანა ეკოდა;  
თმა კინკრისოზე ჰქონდა საფარცხლით აკმე-  
ლი, რის გამო შუბლო ჩვეულებრივზე მოგრობო

უჩნდა. მის თვალებიდან უცნაური ნამძინარე-ობა გამოკრთოდა, ხოლო კბილები ბროლის ფრად უქათქათებდნენ. სიარულზე მეტის-მეტე სიმატე და სიმაგრე ეტყობოდა. ერთი სიტყვით, ტანზე მაიმუნის დაქნილობა ეხატებოდა, სახეზე კი—უშიშარი უმოძრაობა მუმიისა.

— სად არის იგი?—იკითხა ტეტრარქმა.

— იქვე გახლავს—მიუგო მანნაიმ და უკან გაიშვირა მარცხენა ხელის ცერი.

— შე მომესმა მისი ხმა!.. ჰეროდემ მძიმედ ამოიხრა და იკითხა იოაკანამის ამბავი, იმ იოაკანამისა, რომელსაც რომაელნი წმ. იოანე ნათლისმცემელს უწოდებენ.

— მოვიდა კიდევ ის ორი კაცი, რომლებიც ერთი თვის წინეთ შეეუშვით საპყრობილეში მის სანახავათ? ხომ არ გამოაშკარავენებულა მათი მოსვლის მიზეზი?

— მათ რაღაც საიდუმლო სიტყვებით დაუწყეს პყრობილს ლაპარაკი! არც იქით, არც აქეთ, ნამდვილი ქურდები იყვენ, გზა ჯვარედინზე მოთვალთვალენი. მერმე აღმოსავლეთ გალილიას გაემგზავრენ და დაიბარეს: დიდათ სასიხარულო ამბით დავბრუნდებით იქიდგანაო!..

ანტიპამ თავი დაჰხარა და შეშინებული ხმით უთხრა მანნაის:

— გაუბრთხილდი მას, გაუბრთხილდი და არაეინ შეეშვა საპყრობილეში! კარი მაგრად ჩაჰკეტე, ჯურღმულს დაჟარე რამ! ეჭვიც არაეინ უნდა აიღოს, რომ ის კიდევ ცოცხალია!

ხოლო მანნაიმ ბრძანების უწინ აღასრულა ყოველივე ეს. იოაკანამი ებრაელი იყო და მანნაის, როგორც სამარიტელს, სძულდა ებრაელი.

გარიზინის ტაძარი, ტაძარი სამარიტელეებისა, რომელიც მოსემ ისრაელის საკრებულო აღვიდათ დანიშნა, მეფე გირქანის დროიდან აღარ არსებობდა და ამიტომ იერუსალიმის ტაძარი ისეთნაირი შეურაცხებით ამღვრედა მანნაის სულს, როგორსაც აგრძნობინებს აღამიანს გამარჯვებული უსამართლობა.

ჭრთხელ იგი ამხანაგებითურთ შეიპარა იერუსალიმის ტაძარში, მკვდრის ძელები დააწყო წმიდა ალაგას და მით შეურაცხყო იგი.

რომ საკუთარ სიმარდეს არ ეშველა მისთვის, უთუოდ თავს წააგებდა. მის ამხანაგებს კი—ყველას თავები დააყრვეინეს.

და აი, მან კვლავ დაინახა ეს საზიზღარი ტაძარი, რომლის კედლებსა და სახურავს თერთად აქათქათებდა ამომავალი მზის სხვი. იგი რაღაც არა ბუნებრივ, ჰაეროვან მთას წააგავდა და თავისი შედიღურობით მიდამოს აჩრდილებდა.

მანნაიმ გამოსკვნილი მუშტი მოუღირა სიონს და წარმოსთქვა ანაფემა. იგი დაჯერებული იყო, რომ წყევა-კრულვა უთუოდ ახდებოდა.

ანტიპა გულცივათ უსმენდა მას, იგი კი განაგრძობდა:

— ხან და ხან იგი მღელვარებს, უნდა გაიქცეს და თანაც განთავისუფლებას ელის. ხან ისეთი მშვიდობიანი სახის გამომეტყველება აქვს, თითქოს ავითმყოფი მხეცია, ხან კი—გამალებით დადის წინ და უკან სიბნელეში და განუწყვეტლივ ბუტბუტებს:

— „ღიად! თუ იგი ამაღლდა, ჩემდა ჯერარს დამკირება!“

მოსაუბრეთ თვალები ერთი ერთანეთს გაუბნიეს. მაგრამ ჰეროდეს მოღალა ამდენმა ფიქრმა.

ყველა ეს გარემოს მთები, რომლებიც ზღვის გაყინულ ტალღებსა ჰყავდნენ, კლდიანი ნაპრალ—უფსკრულნი, თვით მოკისკასებული, ლურჯი ცა ძალზე აღელვებდნენ მის სულს. მის წინ იხატებოდნენ უდაბნოს სიერცეში მიმოზნეულნი სასახლეებისა და ცირკების ნანგრევები. ცხელ ქარს გოგირდის სუნთან ერთად მოჰქონდა ვითომ ორთქლი ღვთისაგან დაწყველილი ქალაქებისა, რომელნიც მარილოვან ზღვის ქვეშე დამარხულან.

აი ეს დაუვიწყარი რისხვა ღვთისა არყვედა მის ტვინს. იგი, ყვრიმალზე ხელ-შემოდებული, გაქვავებულივით დაბჯენოდა რიკულს. ვიღაც წყნარად შეეხო მის ტანს. იგი ანაზღვეულათ მოტრიალდა. მის წინ იდგა იროდი-ადა.

მსუბუქი პურპურის პერანგი ძლივს ჰფარავდა მის სხეულს. სიჩქარისა გამო არც თვალ-



მარგალიტი დაეკიდა და არც სამაჯეები ჰქონდა. გაშლილი თმის ერთი ნაწილი მკერდს, ზედ ძუძუებს შუა, დაჰფენოდა. აჩქენტილი ცხვირის ნესტოები ოდნავ ებერებოდნენ. რალაცნაირი იღუმალის აღფრთოვანება აბრწყინებდა მის სახეს.

—კეისარს ვყვარებივართ ჩვენ — ამბობდა იგი—აღრიპა ციხეში ჩაუსვამთ!

—მერმე, შენ ვინ გითხრა?

—მე ვიცი, რომ იგი ციხეშია! თურმე კიოსს უსურვა იმპერატორობა!

აღრიპა მათი მოწყალებით სცხოვრობდა და, როგორც იგინი, ისე აღრიპაც სამეფო გვირგვინს ეძებდა. ეხლა კი—იგი საშიში აღარ იყო, რადგან თიბერიოსის საპურობილის კარები აგრე ადვილათ აღარ გაიღებოდა იმისთვის, ვინც ერთხელ შიგ მოემწყვდებოდა.

ანტიპა მიხვდა იროლიადას აზრებს და, თუმცა იგი ძმა იყო აღრიპასი, ქალის უკანასკნელმა სიტყვებმა ოდნავაც ვერ ააღვლევს ტეტრარქი. იგი, პირ იქით, ამართლებდა იროლიადას, რადგან ყველა ეს მკვლელობა—ვერაგობა მაშინდელ მეფეების სასახლეში გამოწვეული იყო თვით საჭიროებისაგან. ჰეროდეს სასახლეში ხომ თვლაც არ ჰქონდათ ასეთ უღვთოობას?

იროლიადა დაწვრილებით მოუყვა ტეტრარქს, თუ როგორი ხერხი იხმარა მან ამ მიზნის მისაღწევათ, როგორ მოისყიდა კარის კაცნი, როგორ ხსნიდა ბარათებს. როგორ გამოჩხრიკა ჯაშუშები, მათ შორის უმთავრესი მათგანი, ევტიქიოსი.

—აღარაფერი არ მშურდა—დაუმტა მან—შენთვის რას არ მოვიმოქმედებ, ტეტრარქო?! განა შენი გულისთვის არ დავივიწყებ ღვიძლი შვილი?..

იროლიადამ თავისი ერთად ერთი შვილი რომს მიატოვა, როცა ქმარს გაეყარა. ეგონა—ტეტრარქის ხელში სხვა მომეცემო. აქნამდე არაოდეს არ მოჰგონებია იგი, ამიტომ იგი განცვიფრებული ჰკითხავდა თავისს თავს: საიღვან განჩნდა ჩემში ასეთი სინაზე მისდამი და ან რას ნიშნავს ესაო?

ამსობაში მოსამსახურებმა ფარდები გა-

დასჭიმეს და ფერად-ფერადი ბალიშებით მოათეს აივანი. იროლიადამ დაიღო ერთი მათგანი და ზურგ-შექცეულად დაჯდა. „აღარ ვიფიქრებ წარსულზე, ეხლა ხომ ბედნიერი ვარ?—გაივლო მან გულში და ტეტრარქს მოაგონა რომში ყოფნის დრო, მათი შეხვედრა სასახლეში და ბევრი, ბევრი რამ წარსული ცხოვრებიდან. იგი შესცქნაოდა ჰეროდეს სწორეთ ისე, როგორც მაშინ, რომში, და ტანის კატური რხევით თავისკენ იწვევდა მის, მაგრამ ტეტრარქი უგრძობლათ იდგა და ახლოსაც არ იკარებდა.

ის სიყვარული, რომლის გაღვიძებას ასე გულმოდგინეთ სცდილობდა იგი, უკვე გამქრალიყო!. სწორეთ ეს სიყვარული იყო მიზეზი ჰეროდეს ამდენი უბედურებისა. მისი წალობით ომი აგერ ცხრა წელიწადი გრძელდებოდა; მისი მეოხებითვე ტეტრარქი ასე უდროოდ დაბერდა და დაჩაჩანაკდა. ოდესმე მისი მოყვანილი, შოლტა ტანი მოიხარა, წვერში ქალარა უბრწყინავდა და სახტად მოწყვეტილი მზის შუქა ნათლად აჩნდა მის დანაოქებულ შუბლს. იროლიადას შუბლიც ოდნავ იყო დანაოქებული. იგინი პირ და პირ იჯდნენ და ერთი ერთმანეთს მტრული თვალით უბღვერდნენ.

ა. მაქსიმოვი.

(შემდეგი იქნება.)



### იმპერატორის სამღვდლოების რაჟუნ-გულთა კრება.

29 ამა მდგომარე აპრილის რიცხვისთვის დანიშნულია საეპარქიო კრება. კრების განსახილველ საგნებს ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის წინადადებით შეადგენენ: 1) სასულიერო სასწავლებლის შენობის შეკეთება ამ წელიწადში ღირებული 3,920 მან. და 40 კ., 2) შეესება 4,022 მანეთისა და 52 კ., რომელიც დახარჯულია სასწავლებლის საჭიროებისათვის სხვა და სხვა ხელშეუხებელ წყაროთაგან, რომელთაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ და

3) თბილისის სემინარიასთან არსებულ პარალელურ განყოფილებათა შენახვა, აგრეთვე კრებამ უნდა განიხილოს უწმინდესის სინოდის მიერ აღძრული საკითხი: რამდენათ სასურველია სამღვდლოებისთვის საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება სასულიერო სასწავლებლებში. და ამ ცვლილებით გამოწვეული ხარჯების დაკმაყოფილება სამღვდლოების საშუალებით. იგივე კრება გაეცნობა სპეციალურ სანთლის საწყობის 1908 წ. ანგარიშს, რომელიც უკვე კანონისამებრ განხილულია ეპარქიალურ სარევიზიო კომიტეტისაგან.



X

**პირველი ფურცელი ბიბლიისა.**

(პროფ. ბეტეკისა)

(გაგრძელება.\*)

**ადამიანის სხეული.**

„და სთქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისათა და ფრინველთა ცისათა და ბირტყვთა და მხეცთა და ყოველსა ქვეყანასა და ყოველსა ქვეყარმავალსა ქვეყანასა ზედა, და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი დააკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფულენით მას...“

და თქვა ღმერთმან: აჰა მოგეცთქვენი ყოველი თივა სათესავი მთესველი თესლისა... და ყოველი ხე, რომელსა აქვს თავისა შორის თვისსა ნაყოფი თესლისა სათესავი, თქვენდა იყოს საჭმელად... (გოს. 1, 26—30).

კიდევ სხვა მხრივაც ჩვენი სხეული შეადგენს დიადს საკვირველებას ღვთიურ აზრისა და შემოქმედებისა. ჩვეულებრივ ჩვენ ისე ვუტყურობ ჩვენს სხეულს, როგორც რამე სრულიად

განსაზღვრულსა და უცვალეზელს. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენი სხეული ფრიად ცვალეზელია; იგი ჩვენ თვალწინ წარმავალი ოდნობაა, რომელიც მუდმივ ირღვევა, რათა ყოველ წუთს განახლდეს. ჩვენი სხეული მუდმივად რომ საჭიროებს საჭმელს არსებობის განსაგრძობად, ეს ვიცით. ეს საჭმელი ყოველდღე რაოდენიმე გირვანქას შეადგენს, მაშინ როცა სხეულის წონას ყოველდღე მხოლოდ რამოდენიმე გრამი\*) ემატება. აქიდან ვხედავთ რომ ჩვენს სხეულში ნივთიერება დიდად და მუდმივ იხარჯება. როგორც წყალი ორთქლდება (შრება) ჰაერში და როგორც თითქმის მაგარი სხეულებიც, მაგალითად, ლითონები, თუმცა ძალიან ნელად, მაგრამ მაინც კლებულობს წონას იმისგამო, რომ მათ განუწყვეტლივ შორდება და პაერში იფანტება უწყვილესი ნაწილები, ამგვარადვე ჩვენი სხეულიც მუდმივ იშლება და ორთქლდება. ამ კანონს ექვემდებარება თითქმის ძველებიც; ცნობილია, რომ იგინიც მარად ახლდებიან, შეუწყვეტლივ ირღვევიან და კვლავ ღებულობენ თავის დაძველებულ ნაწილების ალაგს ახალს, საზრდოსაგან შენამუშავებ ნაწილებს. მთელი ჩვენი სხეული შეიდი წლის განმავლობაში სრულიად სხვად იქცევა, მასში ერთი მცირე ნაწილაკიც აღარ რჩება მის წინანდელ შედგენილობიდან. ამ გვარად 42 წლის ადამიანმა უკვე ექვსჯერ გამოიცვალა თვისი სხეული. მაგრამ ამის მიუხედავად მისი სახე, მისი გამობატულება უმთავრესად და არსებითად უცვლელი რჩება. ამ ცვალეზასა და ხრწნილებაში არსებობს საიდუმლო ერთეულება და უცვლელობა. განა არ უჩვენებს ეს, რომ სისუფსის საფუძველად უდევს ფარული დეტალები მალა? ადამიანის სულმა, შენმა სულმა მიიღო ღვთისაგან ნიჭი, რომ შეუწყვეტლივ დღე-ღამე, მძინარედ თუ მღვიძარედ, მიიზიდოს თვისკენ ნივთიერების ურიცხვი ნაწილაკები, მუდმივ აშენოს მათგან თვისი სხეული, რათა ამ სხეულის საშუალებით დამოკიდებულება ქონდეს გარეგან ქვეყანასთან. და არა მხოლოდ ეს, სულს აქვს ძალა თავისი სხეული ჰყოს რაოდენადმე გამომბატუვლად თავის სა-

\*) იხ. „შინაური საქმე“ № 11.)

\*) გრამი=0, 284.375 მიხსლისა.


კუთარის მდგომარეობისა. განა არ შეგხვედრია ადამიანი, რომელიც დიდი ხნით არ გინახავს და რომელიც ამ დროის განმავლობაში მისცემია ბიწიერებას, მოშორებია ღმერთს და განიცდის სულიერს განხეთქილებას თავის თავთან და ქვეყნიერებასთან? ნუ თუ არ შეგინიშნავს სახის გამომეტყველებით, რომ იგი დეცა და ბიწიერად ცხოვრობს, რაც გინდა კეკლუცად იყოს იგი ჩაცმული, სუფთად დაბანილი და დავარცხნილი? და წინაუკმო: არ წავიკითხავს როდისმე ადამიანის სახეზე კეთილი სურვილი, კეთილ-შობილება, ბეჭედი ღვთაებრივის ქვეყნისა, თუნდაც მას ხმა არ ამოეღოს? აზგვარად, ისე, როგორც ღმერთმა გააჩინა ადამიანი მსგავსად თვისსა, სულიც აქცევს სხეულს მსგავსად თვისსა და ყოველთვის ცოტად თუ ბევრად გამოსტვირის ხრწნილსა და მოკვდავს ხორცს შორის. ეს სული უღირესი საკვირველებაა, ვიდრე ხორცი ადამიანისა. იმის შესახებ ვილაპარაკებთ შემდეგ.

ონაფრე მწირო  
(დასასრული იქნება).



**რ ა ს ჩ ა ვ დ ი ვ ა რ თ?**

(ვაგარძელება\*)



**I.**

Давайте народу общее человеческое, и смотрите, что онъ способенъ принять, чего не достаетъ ему? Вотъ это угадайте!  
*Станкевичъ.*

Мы не должны составлять себѣ сужденія ни о какомъ предметѣ, котораго мы не понимаемъ со всею ясностью и отчетливостью.

*Бокль.*

თუ ხალხის ვითომ და მეთაურებს ასე გაიგეს ხალხის ამოძრავება, რომ მას არ სწამდა პირაუბნებს, არ სწამდა ღმერთი და კელესია, დაიწუნა სახარება და მოინდომა ახალი სახარების შედ-

\* იხ. „ზინ. საქ.“ № 11.

გენა, ეს ხალხის რა ბრალაა?! ხალხი მიენდოთავის შვილებს და თუ ეს შვილები მახვილს ახლებანებდა ერთი მეორეზე, თუ ეს შვილები უღმრთოებისკენ გააქანებდა მას, რა იცოდა მან!! ტრადიციულად ერთგულების და გმირულ გრძობების მატარებელი, იმის გი თეძრობდა, რომ თუ ახალს კერაფერს შეიძენდა, ძველ ძვირფას თვისებებს მაინც შეინარჩუნებდა. მაგრამ ვაი, რომ ამჟამად მოსტეუდა!!—ჩვენა უურხლ-გაწყობა ერთი მეორეზე ამხედრებას და უღმრთობის გამომხატველია. ცოტატიები ბერისაგან ბერის შეიძლება მოკვიყანოთ და რაღა მოკვიყანოთ! დაე, წავიკითხონ მსურველთ, ჩვენა გამოცემისა, თუ სურთ დაწმუნდენ ზემოთ ნათქვამში!

ჩვენა წერილის სხვა და სხვაობისათვის მოკვიყანოთ მაინც გაწყობ დროების წარსული წლის 21 დეკემბრის მეთაურა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ის სარწმუნოება, რომლის გარშემოც კხლანდელი ქართველი სამღვდელთა სწავლობს მკველის მოგროვებას, ბუნებრივად თუ ხელოკნურის მიხედვების ზედგაყენებით, მოსწობილია, ამ სარწმუნოებას საცოცხლის გზა უკვე მოჭრილი აქვს“. აი, გარემოებათა აწონ-დაწონება და ერის სულის კეთების ცოდნა, ეს არის!! რა კისიჭვით იმ გაწყობებზე, რომელიც ასეთ მეთაურებს აწვდიან სარწმუნოებას!! მე კერაფერს ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ ასეთი მოქმედების დასაფასებლად ზრდილობაანა სიტუაციის მოძებნა ძნელია და უზრდელობა რა სიკვდილისა! მხოლოდ ვიტყვი, რომ ასეთი გაწყობა და მეთაურები გაჭრებენ განუეთარებულ გონებით და მათ ემსახურებან თავიანთ კუჭს და არ სარწმუნოებას და მის კეთილდღეობას. სანუგეშოთ ისღა დაგვრჩენია, რომ მთლად არ გეგვარება გაწყობის ფული და დღეგანდელი გამოცემები შხალიერს ქვეშ გასაკრავლად მაინც გაორგათათსებში!! ესეც ხომ ანგარიშია!!

კხლანდელ უღმრთობის მქადაგებულ მწერალთა დასახსნისათებლად არ შეგვიძლია არ მოკვიყანოთ აქ ამ უკანასკნელ წლებში უერ ლექციად წავითხული და შეძმეთ ცალკე წიგნაკად გამოცემულია ი. გომართლის „ტიანი და სული“. ამ წიგნაკის შინაარსი უერ წინადაც მქონდა გადმოცემული, მაგრამ ამ მოკლე დროში ერთი მეტობისაგან მივიღე აღნიშნული წიგნაკი და უფრო დეტალურად წავაკით-

ხე; მით უმეტეს, რომ გამოძეგული ქ-ნი აკრფინა ჟანაშა ასეთს წინასიტყვაობას უძღვნის წიგნაკს ჰიორველსავე ფურცელზე: „ეს ლექცია წავითხა ბ. კუბიძის ო. გომართელმა თბილისის სახელხო უნივერსიტეტის შენობაში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამწერს სსსოგადობაზე.“

ასეთმა წინასიტყვაობამ ერთი ორად განაზრდა ჩვენი ცნობის მოყვარეობა და დიდის დაკვირვებით წავითხე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... გაკეთვალსწინე ლექციის მთავარი აზრი და მიმართულება და ვსთქვა ჩემს გულში: მიზანი ამ ლექციისა ძლიერ დიდი და რთულია, და ერთის მხრით როგორ გაბედა ავტორმა ამ ბუმბურაში აზრების ასე მოკლე ლექციაში გამოთქმა, ამისათვის ხომ საჭირო იყო მთელი სისიტმა, დიდ ტომებში გამოთქმულითქო. მაგრამ ხანგრძლივის დაკვირვების და აზრთა აწონ-დაწონვის შემდეგ მივედი იმ დასკვნაზე, რომ ეს ლექცია არის ნაწარმოები არა ღრმად განათლებულის და დაკვირვებულის მეცნიერისა, არამედ ჩვეულებრივის, ახალ-მოდის მწერლისა, რომელსაც შეუსწავლავ მხოლოდ მეცნიერების სახელები; ხანგრძლივად მათის დაკვირვებით განცნობისა, ამოუკრება იქიდან, ისიც უაზროდ, უთანდათანოდ, თავის მოსაწონი დაეუ ადგილები, ასე როგორც წერებულმა წამხდარი სისხლი ამოსწავოს სხუთადგან, და მოუნდომებია მის ბიჭების დახმარებით ლექციად გასაღება სახელხო უნივერსიტეტში. ასეთ დასკვნაზე მივეყვართ ჩვენ შემდეგს მოსახრებებს:

1. მეცნიერებისგან წამოყენებულ ექსპერიმენტების უკუღმართად და თავისებურად გაება.
  2. წინასიტყვაობის ლექციაში გამოთქმულ მოსახრებათა ერთი მუარესთან.
  3. სრული არ ცოდნის საკვლევისი ისტორიისა და წმ. მამათა ცხოვრებისა...
- მთავარი აზრი ლექციისა, გომართელს აქვს გამოთქმული ლექციის ბოლოში, როგორც დასკვნა, და სახელდობრ: „ჩვენი სიცოცხლე აქ იწვევს ამ დედამიწის ზურგზე და, აქვე თავდება“. ეს ახიარებული აზრი მას, გომართელს, აქიომად აქვს მიღებული და ცდილობს მეცნიერებაში ცნობილ ავტორიტეტების გამოკვლეებით დაამტკიცოს, დასახუთოს. ძველ ფილოსოფოსებს, პლატონს როგორც იდეალისტს და არისტოტელს, თავის ფი-

ლოსოფიაში გამოუკვლევს, იწუნებს და ახლას ბუნების მეტეორებს მიმართავს. ვთქვათ ავტორის სიტყვებით: „ბიორელი მეცნიერი, რომელმაც დაამტკიცა სრული გაუშირა სულოვ მოკვლენებსა და ტინის შორის, იყო ღალდი მეცნიერებე საუკუნის დასაწყისში. 1808 წ. მან წარუდგინა პარიზის აკადემიას ერთელი თსუზულება, სცა ის ამტკიცებდა: სულოვო ცხოვრება ტინის ქერქში სწარმოებსო. ღალდი თავის აზრს მშრალს სიტყვებზე ვი არ ამუარება, არამედ—სხვა და სხვა მეცნიერულს ცდასა და დაკვირვებაზე... (გვ. 12) გაიარა ამის შემდეგ რამოდენიმე წელიწადმა და ფლურანსმა დაამტკიცა რომ ტინის ქერქის ამოჭრით ცხოველი ჭკარგავს სულოვო ცხოვრების უმეტეს ნაწილს. ფლურანსის ცდა განაგრძეს ფოკადმა და დელომ... 1861 წ. მეცნიერმა ბრკამ აღმოაჩინა ტინში ღაძანაკის ცენტრი, ესე იგი ტინის ის ნაწილი, რომელიც ღაძანაკს განაგებს. 1870 წ. ფრინძა და გიტცინემ აღმოაჩინეს ტინში ის ალაგები (გვ. 13), რომლებიც განაგებენ ხელებისა და ფეხების საზოიან მოძრაობას“.

შემდეგ ავტორს მოჰყავს აღწერილობა ტინის შენობისა, თუ რა ნაწილები შედგენს მას და ამბობს, რომ უმთმერეს როდეს სულოვო ცხოვრებაში თამაშობს დიდი ტინი, რომელიც განაყოფობა ორ ნაწილად: რუხი ნაწილი და თეთრი ნაწილი (გვ. 14), რუხს ნაწილს ეწოდება ტინის ქერქი. დამტკიცებულია (!) რომ სულოვო ცხოვრება სწორედ ამ ტინის ქერქში სწარმოებს (გვ. 15)... ტინი შესდგება სხვა და სხვა უჭრებისაგან, რომლებსაც სხვა და სხვა დანიშნულება აქვს. ასეთი უჭრების იმ გვარ ჯგუფს, რომელიც ერთ განსაზღვრულ საქმეს განაგებს, ეწოდება ტინის ანუ ნერვის ცენტრი (გვ. 19). ამ გვარი ცენტრი ტინში ურაცხვია და ადამიანის მთელ სიცოცხლეს და სულოვო ცხოვრებას ესენი აწარმოებენ. ერთი განაგებს სუნთქვას, მეორე ფილტვების მუშაობას, მესამე გულსას, მეოთხე ეუჭისას, მესუთე ღაძანაკს, მეექვსე მხედველობას და სხვა (გვ. 20).

როგორც სჩანს ამ ტინადობიდან, გომართელა ამტკიცებს მეცნიერებზე მითითებით, რომ ადამიანის და უოველი ცხოველის სიცოცხლე დამოკიდებულია ტინზე. ადამიანში არაერთი დუთავბრივი ძალა არ არის. იგი მხოლოდ ტინით აზრანობს, მი-

თა ცოცხლობს და როცა ეს ტვიანი კვდება, ანუ შეჩერებს მოქმედებას, მაშინ ადამიანიც კვდება სუ-  
ლიან-ხორციანად ესე იგი მას არავითარი ცხოვე-  
ლება არ მოკლავს. და არამც თუ ადამიანის, უკვე-  
ლი ცხოველის სიცოცხლე ტვიანზეა დამოკიდებუ-  
ლი. ამოჭრილ ტვიანს მისი ცენტრებიც თავის  
სხვა და სხვა გრძობათ: ორგანოების უფროებით  
მიჭეკება და მასთანავე ცხოველის სიცოცხლე სრუ-  
ლიად ისპობა.

ახლა ვნახათ ლექციის მეორე ადგილზე რას  
ამბობს გომარტელი: „დიდი ტვიანის ძილად ამოჭ-  
რას ძალეები ვერ უძლებენ და კვდებათ, ფრინვე-  
ლება და ბუფები ვი ამ გვარს აპურადას იტანენ.  
ქათამს რომ დიდი ტვიანი ამოჭრათ, ის უბრალო  
ავტომატად გადაიჭრება... (გვ. 25) 1890 წ.  
პროფესორმა გოლცმა სტრასბურგში ამოსჭრა  
დიდი ტვიანი ძალეს, რომელმაც ამის შემდეგ ერთი  
წელიწადი იცოცხლა“. (გვ. 26).

შეადარე ჩემო მეათხველო, მოყვანილი ადგი-  
ლები ერთი მეორეს და დააკვირდი თუ რა წინა-  
აღმდეგობაა მათში. თუ ხერკების ცენტრი ტვიანში  
უნიცხვია და ადამიანის და ცხოველის მთელ სი-  
ცოცხლეს და სულეორ ცხოვრებას ესენი აწარმოე-  
ბენ; თუ ესენი განაგებენ: სუნთქვას, ფილტვების  
მუშაობას, გულას მოძრაობას, კუჭის წარმოებას,  
ლანარაკს და სხვებს, ვერ წარმოადგენა, რა ნა-  
ირად იცოცხლას ძალემა ერთ წელიწადს, რომელ-  
საც გოლცმა ამოსჭრა დიდი ტვიანი? ნუ თუ ასე-  
თი ნაწილის ამოჭრის შემდეგ, რომელიც განაგებს  
ორგანიზმის უკველ პრეტესს, შესაძლებელია სი-  
ცოცხლე ცხოველისა? გამოკვლეათა ასეთ წინა-  
აღმდეგობას ჩვენ ვერ დავსწამებთ აღნიშნულ მოც-  
ნაერთ; ის გი უნდა ვიფიქროთ რომ თავის ლექ-  
ციის შესაყინძავთ ი. გომარტელმა დაუკვირებლათ  
და უახროთ ამოგვლია აქა იქ მოყვანილი ადგი-  
ლები და ასე ასირებულად სურს დაამტკიცოს ადა-  
მიანის ბირუტყობა.

ივერიელი.

(შემდეგი იქნება.)

**წერილი ჩედაძეის მიმართ.**

ბ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ, გაზეთ „შინაური—  
საქმეების“ ამა წლის მეხუთე ნომერში წაე-  
კითხე ბ. ნ. მკურნალის წერილი იაფ ფასის  
„სამეურნეო წიგნაკების“ გამოცემის შესახებ,  
რომელიც ითხოვს ამ შემთხვევისათვის შესდგეს  
ფონდი და იბეჭდებოდეს „იაფ—ფასიანი—სა-  
მეურნეო წიგნაკები“.

მე მრწამს, რომ ამისთანა წიგნა-  
კები დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მეურ-  
ნეობას, როგორც ბ. მკურნალი გვიხსნის, თუ  
ასრულებას არ მოვერიდებით და არ დავგეზა-  
რება, ამისთვის გაახლებთ ერთ მანეთს და  
გთხოვთ გარდასცეთ კუთვნილებისამებრ ვისიც  
რიგია. თუ საქირო იქნეს ამისთანა კეთილი  
საქმისათვის ნუ დამზოგავთ შეწირულობით,  
ოღონდ ქვეყანას გამოადგეს ნაშრომი და და-  
ბეჭდილი წიგნაკები.

მღვდ. სპირ, ჯუღელი

6 აპრილი 1909 წ.



**ქუთაისში აბაჰის დღესასწაულზე დავს.  
წამი ჯაჰუჩა გლახის ნაამბობი.**

ოჰ, ქაქუჩას გაუმარჯოს, ქაქუჩა აცოცხ-  
ლოს ღმერთმა! გაიბერტყე, გაიბერტყე ე ოგ-  
ლი და მერე აგერ მობრძანდი ცეცხლთან და  
მოგვიყევი შენებურად სხვა და სხვა ამბავებს,  
მგონი გუშინ წინ მოსულხართ ქუთაისიდან  
და რაღა თქმა უნდა ახალ-ახალი ამბებით იქნე-  
ბი საესე, ქალაქ „გოროდში“, ბევრ-ბევრი  
ამბავები ხდება ხოლმე ხშირად და ან კაის გაიგო-  
ნებდით რამეს და ან ცუდს, ნუ დავგამადლი  
თქმას თუ ღმერთი გწამს, შენ ვაგლახად არა-  
ფერი გამოგებარებოდა იქ გაუგებარი, ისეთი  
უუთიანი და დაკვირვებული კაცი ხარ; თოვ-  
ლი რამხელაა ახლა იქ ნეტავი; — რალაც მით-  
ქმა-მოთქმა აქ ხალხში, რომ ქუთაისში იმ კვი-  
რას დიდი ამბები იყო, ვილაც დიდი კაცი  
ჩამოვიდა და მთელი ხალხი შეიძრა მისი გუ-

ლისათვისა და არ ვიცით მართალია ეს თუ ტყუილი და შენგან ველით ამის გაგებას; ასეთი სიტყვებით მიეგებნენ პატარა სოფელს მერის რამოდენიმე მცხოვრებნი (რომელნიც 21 დეკემბერს 1908 წელს ეკლესიაზე მისულიყვნენ წირვის მოსასმენად და რადგანაც მღვდლის უღონობის გამო წირვა არ იყო იმ დღეს, საეკლესიო სახლში დამსხდარიყვნენ ცეცხლთან და თავიანთ ჭირ-ვარამზე მასლაათობდნენ.) ერთ მხნე შეხედულობის მოხუცს ქაქუჩას, რომელიც წირვაზე მოსულიყო და თოვლის ბერტყით შემოვიდა ეკლესიის სახლში. — ამბავის თქმას რავა დაგამადლით ჩემო ძმებო, მარა ჯერ მადროვეთ, ეკლესიაში პირჯვარს დავიწერ და მერე კი ყველაფერს გაიმბობთ და ბევრიც მაქვს სათქმელი ამ ყამად. და ამის თქმაზე ეკლესიაში წავიდა სალოცავად... შემობრუნდა მერე იქვე და ისიც ბუხართან ცეცხლს მოუჯდა. — წედან ვიღამაც მკითხა თოვლი რამხელაა ახლა ქუთაისშიო; — რას ამბობთ კაცო, თოვლი სად არის ახლა იქ, თოვლი კი არა ყველგან ბდღვირი ადის ისეთი შშრალობაა იქ, ზესტაფონს ქვევით სულ ასეა, (უჩვენა ხელის გული). მე ზოგიერთ იქაურებთან წამომცდა, რომ ჩვენში ახლა ორი არშინი თოვლი სძევს თქო და საცინლად ამიგდეს, რა ქვეყანაა და რა სოფელია ეგ ქვეყანა, სადაც მაგხელა თოვლი არისო, და არც გვჯერა, რომ სადმე ამ ჩვენ იმერეთში მაგხელა თოვლი მოდიოდესო. მართლაც რა დაუშავეთ ი დალოცვილ ღმერთს, რომ ჩვენ ასეთ ცივ მხარეში გვარგუნა ცხოვრება და სხვები კი სამოთხის მსგავს ალაგას სცხოვრებენ: თოვლი იქ ნაკლებად იცის, მზეში არასოდეს არ შეიკვრის და ჩვენში კი მთელი ნახევარი წელიწადი დიდი თოვლი სძევს და თუ არ ქვევითათ, თხილამურებით, ისე არ შეიძლება სიარული და ხშირად თითო კვირათობით ისე შეიკვრის ხოლმე გზები, რომ სახლიდგან თავს ვერ გამოყოფს ადამიანი, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ღმერთს ჩვენ ვერაფერს გაუსწორებთ, აღბად ასე იყო საჭირო და ასე სჯობია ქვეყნისათვის, რომ ალაგ თოვლით, ალაგ არა, ალაგ კივია, ალაგ თბილია.“ ესეც კია ჩემო ძმებო, რომ როცა ი ჩვენგან მოწონებულ ადგილებში (როგორც ქუთაისი და მისთანებია), ხალხს სიცხისაგან ხახა უშრება და ხეირიანი წყალიც არ მოებოებათ მის გასაგრილებლად. და პირი ბდღვირით ევსებათ ხოლმე, მაშინ ჩვენში ყოფნას არაფერი სჯობია, გადილდე გული, შეუტეე ყანას სამღშაოთ, და თუ გცალია წამოწეკი ჩეროში და სვი წითელი ნუნუა თუ გახლავს, თუ არა კაი ანკარა წყაროს წყალი, რომელიც მიკიტნებისგან ნაეშმაკარ-მოწამოლულ-მოშხაბულ ღვინოებს კიდევ ბევრად სჯობია. ჩვენ რომ ლობიო და მჭადი გვიამება მაშინ აქ, იმათ მოხრაკული და შემწვარიც არაფრად ეპიტნავენად. — მაგრამ რადროს ამაზე ლაპარაკია ან კი, სხვაც ბევრი მაქვს ახლა სალაპარაკო და ყური დამიგდეთ, არ მოიწყინოთ, რაღაი მღვდელმა ველარ კვიწირა დღეს, ამის მოსმენით მაინც შევსეთ თქვენი გულნაკლულეფანება. მე კი ამას გეტყვით, ჩემო მზემა, რომ ამხელა კაცი მოვყრილვარ და იმის მსგავსი და ფასი რაც მე 14—15 ქრისტეშობისთვის ვიყურე და ვნახე ქუთაისში არა მინახავს რა ჩემს სიცოცხლეში. — თქვენც იცით, რომ ი გოგო მყავს გასასტუმრებელი ნანათლილებევს და იმის ბარგი ბარხანას საყიდლად წავედი ქუთაისს იქითა კვირეში. კაი დაბინდებული იყო, როცა ქიათურის „ტანკიაზე“ ჩავედი. იქ აქა-იქ შეგგუფული ხალხი დავინახე, რალაცაზე აღტაცებით და სიამოვნებით ბასაობდენ, მიუგდე ყური აქაც, იქაც, სულ ერთი და იგივე ისმოდა: „აკაკი“, „ჩვენი აკაკი“, ქუთაისშიაც დიდი ამბავები იქნება ზეგ კვირასაო „აკაკი ჩამოვა იქ, თბილისში ხომ გასაოცარი პატივისცემა მიუძღვნიათ და ახლა არც ქუთაისი დარჩება ხელკარიელიო“ და სხვ. ძლიერ ვკვირობდი, ვინ უნდა იყოს ეს აკაკი, რა კაცია ასეთი, რომ ყველა იმას ახსენებს თქო, უთუოდ ვფიქრობდი ჩემთვის, ის დიდი პომპოლიკი (პოლკოენიკი) ან ღრენერალი, დიდი ჩინიანი იქნება ვინმეთქო და მიტომ ცნობს და ახსენებს ყველათქო. გულმა აღარ მომიტბინა და ერთგან კიდევაც ვკითხევე, ვინ არის ი აკაკი თქვენ რომ აგრე გაცხარებულად ლაპარაკობთქო? — იმათმა ჯერ ამხედ-დამხედეს და მერე ასე მითხრეს: აკაკი მწერალია, მარა თქვენ

ნებულ ადგილებში (როგორც ქუთაისი და მისთანებია), ხალხს სიცხისაგან ხახა უშრება და ხეირიანი წყალიც არ მოებოებათ მის გასაგრილებლად. და პირი ბდღვირით ევსებათ ხოლმე, მაშინ ჩვენში ყოფნას არაფერი სჯობია, გადილდე გული, შეუტეე ყანას სამღშაოთ, და თუ გცალია წამოწეკი ჩეროში და სვი წითელი ნუნუა თუ გახლავს, თუ არა კაი ანკარა წყაროს წყალი, რომელიც მიკიტნებისგან ნაეშმაკარ-მოწამოლულ-მოშხაბულ ღვინოებს კიდევ ბევრად სჯობია. ჩვენ რომ ლობიო და მჭადი გვიამება მაშინ აქ, იმათ მოხრაკული და შემწვარიც არაფრად ეპიტნავენად. — მაგრამ რადროს ამაზე ლაპარაკია ან კი, სხვაც ბევრი მაქვს ახლა სალაპარაკო და ყური დამიგდეთ, არ მოიწყინოთ, რაღაი მღვდელმა ველარ კვიწირა დღეს, ამის მოსმენით მაინც შევსეთ თქვენი გულნაკლულეფანება. მე კი ამას გეტყვით, ჩემო მზემა, რომ ამხელა კაცი მოვყრილვარ და იმის მსგავსი და ფასი რაც მე 14—15 ქრისტეშობისთვის ვიყურე და ვნახე ქუთაისში არა მინახავს რა ჩემს სიცოცხლეში. — თქვენც იცით, რომ ი გოგო მყავს გასასტუმრებელი ნანათლილებევს და იმის ბარგი ბარხანას საყიდლად წავედი ქუთაისს იქითა კვირეში. კაი დაბინდებული იყო, როცა ქიათურის „ტანკიაზე“ ჩავედი. იქ აქა-იქ შეგგუფული ხალხი დავინახე, რალაცაზე აღტაცებით და სიამოვნებით ბასაობდენ, მიუგდე ყური აქაც, იქაც, სულ ერთი და იგივე ისმოდა: „აკაკი“, „ჩვენი აკაკი“, ქუთაისშიაც დიდი ამბავები იქნება ზეგ კვირასაო „აკაკი ჩამოვა იქ, თბილისში ხომ გასაოცარი პატივისცემა მიუძღვნიათ და ახლა არც ქუთაისი დარჩება ხელკარიელიო“ და სხვ. ძლიერ ვკვირობდი, ვინ უნდა იყოს ეს აკაკი, რა კაცია ასეთი, რომ ყველა იმას ახსენებს თქო, უთუოდ ვფიქრობდი ჩემთვის, ის დიდი პომპოლიკი (პოლკოენიკი) ან ღრენერალი, დიდი ჩინიანი იქნება ვინმეთქო და მიტომ ცნობს და ახსენებს ყველათქო. გულმა აღარ მომიტბინა და ერთგან კიდევაც ვკითხევე, ვინ არის ი აკაკი თქვენ რომ აგრე გაცხარებულად ლაპარაკობთქო? — იმათმა ჯერ ამხედ-დამხედეს და მერე ასე მითხრეს: აკაკი მწერალია, მარა თქვენ

ნებური სოფლის მწერალივით კი არ გვეგონოს, ის პოეტია, ბევრი ლექსებ-შაირების გამოშტამელია, დიდი აზრის და ნიჭის პატრონია, გლეხის და მუშაკის დიდი მომხრე და მოსიყვარულეა, 50 წელიწადი სულ ისეთი წიგნები სწერა და ბეჭდა, რომელმაც ჩვენი ხალხი გამოაფხიზლა, თავში ქუთა ჩაუღვა და ავი და კი გააგებინაო, სავანელი გლეხის დედაკის ძუძუთი გაზრდილია, საჩხერელი თავადი წერეთელია, მაგრამ იმ თავადებს კი არა გავს, რომელთაც ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ ჰკიდიათო. „ინის ბ.დალი კაცი ახლა მთელ კავკასიაში არ არისო. ეხლა ის 70 წლის მოხუცია და მადლობის ნიშნად ხალხი დღესასწაულს უმართავს ყველგან ქალაქებში და პატარისკემით ეგებებაო“... ამასობაში საჩხერელამ პოვეზიცი მოკშუტუნდა, და შეიქნა ფაცა-ფუცი, ხალხი იქით-აქეთ მიიბნ-მოიბნა, მე მოვინახე ადგილი პოვეზში, სხვაც მევერი იქდენ იქ და ისინიც აკაკის ხსენებაში იყვნენ. ვინატრე ნეტავი ერთი სადმე ვნახავდე აკაკი ვინცხა არის, რომ ჩემი თვლით შევხედო რა ჩან-მენდლების პატრონიათქო. მეორე დღეს შუადღისას ქუთაისში ამოვყავი თავი. პეტრეს დუქანში მივედი, ცოტას დავნაყრდი და მერე დავიწყე ბაზარში სიარული რამე-რუმეს საყიდლად; სადაც ორი და სამი კაცი დავინახე ერთად შეკრებილი, ყველგან აკაკის ახსენებდენ, ყველგან მისი სახელი მესმოდა, ყველას აკაკი ეკერა ენაზე, მაღაზიებში გაზეთებს ჰკითხულობდნენ კაცები და იქაც სულ აკაკის სახელი ამოდიოდა: თბილ ქალაქში (თბილისში) ასეთი და ასეთი პატივი სცეს აკაკისო და ხვალ აქაც დიდი ამბავი იქნებაო. ჩემს განცვიფრების საზღვარი აღარ ჰქონდა: ბიჭოს, რა კაცი უნდა იყვეს ასეთი გინდა მეშირე იყოს გინდა მწერალი, რომ გაზეთებშიაც იმაზე სწერენ და ისადაც იმაზე ლაპარაკობენ ყველანი მეთქი, იმპერატორ ხელმწიფე ხომ არ იქნება და რა დაემართად რომ მის მეტს აღარც სმენ და აღარც სქამენ მეთქი და მოგიკვდეს ქაქუჩა თუ აქედგან ფეხი შოიცვალოს, სანამ თავის თვლით არ ნახავს უინცხაა ეს ასე საქები აღამიანი თქო! — ისიც გავიგე, რომ კვირას ჯერ სო-

ბოროში, დაესწრება წირვაზე აკაკი და მერე იქიდგან სხვაგან წაიყვანებენ და წარმოდგენას გაუმართავენო. დავაჩქარე საყიდლების ყიდვა, მარა იმ დღეს ვერ მოვასწარი სულ, ათასგან უნდა მიხვიდე კაცი აბაზის საღირალ რამესთვის, ათასგან უნდა გადაივლო თვალი და მერე ეგებ შეგიჯერდეს გული და გაბედო ყიდვა, მერე ცოტა ხამობა თუ შეგატყვეს ვაჭრებმა მაშინ იმათ უყურე, როგორ მოგეპყრონ, ერთი ათად დაგიფასებენ ყოველიფერს, ჩაგაფლებენ ხელს და აღარ მოგეშვებიან ორიოდ მანეთის მაინც თუ არაფერი იყიდე მათთან, თუ გინდ მოგწონდეს რამე და თუნდ არა. ძლიერ ქესატობა აქვთ საწყლებს და მიტომ იღრიჯები-იხჭინებიან!..

გათენდა კვირა. დილით აღრე ავდექი და გავეშურე სობოროსკენ, გალავანი და კიბეები ხალხით იყო სავსე, შორიდგანვე მოვიხადე თავი და მივადექი კარებს შესასვლელად, მაგრამ ვინ გიშვებს შიგ? კარებში ჩამდგარიყვნენ ნასტავლი ყმაწვილები და იმათმა ხელი ამიქნიეს, არ შეიძლებაო, მიტხრეს, მე ვიფიქრე ალბად ქალამნიან—პაიჩებით რომ ვარ მიტომ არ მიშობენ საყდარშითქო, მარა როცა კოხტათ ჩაცმულებიც ბევრი გამოაბრუნეს უკან იმიტომ, რომ ბილეთები არ გაქვსთო, ძლიერ გავკვირდი. საყდარში შესვლისთვის ბაშპორტის და ბილეთის მოთხოვნა სად გაგო-ნილამეთქი? მარა რალას ვიზამდი, უკან უკან დავიხიე და ახლა გარშემო შამოლარე სობოროს ეგებ სხვა კარებთან რამენაირად გამიღიმოს ბედმათქო, ორივე მხრით კარები დაკეტილი დავგხვდა, მარა ცოტა ხნის შემდეგ რაღაცასთვის გააღეს ჩრდილოეთის კარები, ჩვენ დავფლრიჯეთ კარის გამღებს და უშველოს ღმერთმა, შეგვიშვა საყდარში. თუ გინდ სასუფეველის ღირსი გავმხდარიყვე! საყდარში ხალხი ბევრი იყო, მარა კიდევ ბევრი დაეტეოდა შიგ, ეს როგორც გავიგე მითი მოხდა, რომ ბილეთები აღრევე წინაღლით უფრო ყოყოჩა ხალხსაფლო და რადგან ასეთებს წირვა-ლოცვა არაფრად ეპიტნაყვებად, წირვის გათავებამდის არ შეიწუხეს თავი მობრძანებით და გათავები-სას კი იკადრეს შემოსელა, გააბედნიერეს სო-

ბორო თვისი შემობრძანებით, მაშინ სულ მთლად გაიქედა ხალხით ის დიდი ტაძარი; მე რომ შიგ შევედი წირვა დამდგარი იყო, ეპისკოპოზი იყო მწირველი და სხვა ბევრი დეკანოზ-მღვდლები. აკაკი არსად სჩანდა და მიტომდავიწყე აქეთ იქით თვალიერობა და ცქერა — ყურება, აგერ ათი წელიწადი იქნება რაც მე სობოროში არ შევსულვარ და მისი ნახვაც ძლიერ მიენტერესებოდა. უწინდელ სობოროს კი აღარ ჰგავდა. კედლები, საყდრის ცა და სვეტებიც კი ძვირფასად მოუხატავთ ათასნაირ სხვა და სხვა წმიდანებით, მერე ისე ცხაოთ არის გამოყვანილი მხატვრობა, რომ გეგონება ცოცხლები არიან და მე მომჩერებიანო, ასე იფიქრებ რომ, ნაშვილ სამოთხეში ხარ ღმერთსა და წმინდანებს შუა. კაცის თვალი უკეთეს რაღას ნახავს? იმ მხატვრობის დანახვამ ურწმუნო კაციც კი სასოებაზე უნდა მოიყვანოს და ღმერთმა ისიც აღდგერძელოს ვინც ითავა იმ ტაძრის ისე მშვენიერად შემკობა — მოხატვა და ის მხატვარნიც, რომელთაც ისეთი ნიჭი აქვთ, რომ ასე ცხადათ ხატვენ და წარმოადგენენ ყოველიფერს. აბა სწავლა და ხელობა ის მითხარით! — მე შეშინებული ჩიტივით იქით-აქეთ ვიციტირებოდი, ეპისკოპოზის დანახვაც მინდოდა, დეკანოზ-მღვდლებისაც და ხალხისაც მარა საყდრის მოხატულობას ვეღარ მოვაშორე თვალი; ვის სცალოდა მაშინ ჩემთვის, თორემ მალე შემატყობდნენ, რომ ვიღაც სოფლელი ტეტია ვიყავი. სხვას ყველას თვალი ღია ქვედა კარებისკენ ეკავათ და იქით იციტირებოდნენ, აბა როდის დავინახოთ აკაკიო. ის კი არ მომეწონა, რომ ზოგი კაცები და ქალები ზედ ამზიონზედ შემდგარიყვნენ, ხატებისკენ ზურგი მიექციათ და ისე იყურებოდნენ აქეთ.

ქვათხელ-საბაგოელი.

(შემდეგი იქნება)



რედაქტორი, მღვდელი სიმონ ვაჟდლიკა.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

## გამოვიდა და ისუილება

წირველი სერია სამეურნეო წიგნებისა  
**აზრეუშუმის მოკლე**

ნ. შკურნალისა.

ფასი 3 კ.

## დაიბეჭდა და ისუილება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:  
თეორია სიტყვიერებისა — ქეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იუიდება ქართული ქრესტომატიაც — მისივე I, II, III და IV კლასებში სავითსევი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიციანიძესთან და ვ. ბუყუნეაშვილთან, თბილისში წერეთლის სასოგადოებაში.

## გამოვიდა და ისუილება ავტორთან „შინაური საქმეების“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დევ. პ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი 60 კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისუილება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი 0.80 ზაური.

